საქმე №3/7745-23 (330310123007989355)

9577920769067

www.ecd.court.ge

# განჩინება

საქართველოს სახელით

სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ

10 აპრილი, 2024 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილი**

**მოსარჩელე** - ცისანა ქობულაძე

**მოპასუხე** - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**მესამე პირი** - შპს „სანო 2015“

**დავის საგანი** - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და

## გამოარკვია:

2023 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა მოსარჩელე ცისანა ქობულაძის წარმომადგენელმა დავით ჩქარეულმა, მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა:
1. დაევალოს მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქმედების განხორციელება კერძოდ 2020 წლის 12 ოქტომბერს შპს „სანო 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.14.03.042.416 დარეგისტრირებული ვალდებულება, რომელიც გაუქმდა 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დაარეგისტრიროს ახალი ვალდებულება, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა 2012 წლის კრების ოქმი, ამავე ოქმისა და 2020 წლის 6 ოქტომბერს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მეგა 4“-ს, ზურაბ მეზვრიშვილს პ/ნ 01017010224, ცისანა ქობულაძეს პ/ნ 01008010620 და შპს „სანო 2015“-ს ს/კ 40537766 შორის დადებული ხელშეკრულების 1.2, 2.3, 2.4, 2.5 და 2.6 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ამავე სარჩელით მოსარჩელე შუამდგომლობს, სასამართლომ გამოიყენოს დროებითი განჩინება დავის დასრულებამდე დაევალოს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს არ გასცეს თანხმობა ქ. თბილისი, ოთარ ლორთქიფანიძის ქ. N5-ში ს/კ 01.14.03.042.416 მრავალბინიანი საცხოვრებელ

სახლზე, კორექტირებული პროექტის შეთანხმებაზე და ახალი მშენებლობის ნებართვ გაცემასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით ცისანა ქობულაძის სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. მოსარჩელეს დაევალ სასარჩელო მოთხოვნებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახე შუამდგომლობის დაზუსტება.

2023 წლის 1 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დაზუსტებული სარჩელით მომართა მოსარჩელე ცისანა ქობულაძის წარმომადგენელმა დავით ჩქარეულმა, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა:
**1.** ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.12.2021წ №892021096836-06 გადაწყვეტილება;
**2.** ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 14.09.2023წ. №19927 გადაწყვეტილება.

ამავე დაზუსტებულ სარჩელში მოსარჩელე შუამდგომლობს მიღებულ იქნეს დროებითი განჩინებ და დავის დასრულებამდე დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.12.2021წ №892021096836-06 და 14.09.2023წ. №199275 აქტების მოქმედების შეჩერება 2020 წლის 1 ოქტომბერს შპს „სანო 2015“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.14.03.042.41 რეგისტრირებული ვალდებულების შესახებ.

შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებ მნიშვნელოვანია მოსარჩელის ინტერესების დასაცავად, რადგან მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულების შესაბამისად მოსარჩელეს მატერიალური ზიანი ადგება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 3 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეჩერდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.12.2021წ. №892021096836-06 გადაწყვეტილების მოქმედება.

2024 წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა მოსარჩელე ცისანა ქობულაძის წარმომადგენელმა დავით ჩქარეულმა და იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის შესახებ.

**სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, საქმეში არსებული მასალები, მიიჩნევს, რომ სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ვირგულის მეექვსე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსით ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობის პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: ვ) დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

ამ კოდექსის 276-ე მუხლის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში საქმის წარმოება მთავრდება სასამართლო განჩინებით, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1]-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება, რაც მითითებულ ნორმისა და ამავე კოდექსის 275-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სარჩელის გამოთხოვის გამო, სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე ცისანა ქობულაძის წარმომადგენელის დავით ჩქარეულის შუამდგომლობა სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და განუხილველად უნდა დარჩეს ცისანა ქობულაძის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, შესაძე ვალის - შპს „სანო 2015“-ის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გათიშულად ცნობის მოთხოვნით. ამასთან, მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველ მე-3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1], 275-ე, 276-ე, 278-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ცისანა ქობულაძის წარმომადგენლის დავით ჩქარეულის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობ თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. მოსარჩელე ცისანა ქობულაძის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მესამე პირის - შპს „სანო 2015“-ის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად ცნობის მოთხოვნით დარჩეს განუხილველად მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობი გამო;

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლი 3 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, განსახილველ საქმეზ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 23.12.2021წ. №892021096836-06 გადაწყვეტილების შეჩერების თაობაზე;

4. მოსარჩელეს დაუბრუნდეს დავით ჩქარეულის მიერ 2023 წლის 12 ოქტომბერს ცისან ქობულაძის ადმინისტრაციულ სარჩელზე საგადასახადო დავალება N18928397435-ის საფუძველზ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარი და საგადასახადო დავალება N18928389837 ის საფუძველზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი (ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის დასახელება - ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა”; ბანკის კოდი - TRESGE22 სახაზინო კოდი: 300773150);

5. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელის განუხილველად დატოვება არართმევს უფლებას კვლავ მიმართოს სასამართლოს სარჩელით იმავე მხარის მიმართ, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა) 12 დღის ვადაში დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით.

მოსამართლე: ვალერიანე ფილიშვილი



ასლი დედანთან სწორია
შესულია ქაღალდზე ძალაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
ხელმოწერა: ქ/დასკვ
„1“ ივლისი 2024წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233253644**
თარიღი: **21/11/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას 7

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2023 წლის 17 ნოემბრის N 17-012332118-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.03.042.416) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილების (AR1955397) საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ დადებითი პოზიცია დააფიქსირა არქიტექტურული პროექტის ცვლილების შეთანხმების ეტაპზე 2021 წლის 6 დეკემბრის თქვენი N 17-01213402913-16 განცხადების პასუხად N 16-0121349681 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რამაც შეიძლება არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის ცვლილების შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურს და
საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს ყველა ინსტანციას

ზურაბ მეზვრიშვილის და ამხანაგობა „მეგა 4“-ის
წევრების:

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ რომ ზურაბ მეზვრიშვილმა, ცისანა ქობულაძემ და ამხანაგობა „მეგა 4“-მა 2020 წლის 7 მაისის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების და 2020 წლის 6 ოქტომბრის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე გავყიდეთ ნაკვეთი საკ. კოდი: 01.14.03.042.416 მასზე გაცემული მშენებლობის პროექტით, მშენებლობის ნებართვით, ( რაც ხელშეკრეულებისამებრ მოიპოვა მყიდველმა შპს „სანო 2015“-მა) პირობებით და ყველა მასთან დაკავშირებული ყველა უფლებით( რაც არ ზღუდავს კორექტირების უფლებას). მიწის ნაკვეთის საფასური განისაზღვრა 1460 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის და ოთხი ერთეული ავტოფარეხის გამყიდველთათვის გადაცემით, რაც უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2023 წლის 7 ოქტომრისა.

ვალდებულებით ნაკისრი ფართები მიწის ნაკვეთის გამყიდველებს გადმოგვეცა ვადაზე ადრე საკუთრების უფლებით, უნაკლოდ ხელშეკრულებისამებრ (რეალიზებადი, რამდენიმე ბინა რეალიზებულია, იხ. საჯარო რეესტრის განცხ. N 882023146540; N 882022696908; N 882023990193) რასაც ადასტურებს 2021 წლის 23 დეკემბერს ნოტარიულად დამოწმებული და საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული განშლის ოქმი და ცხრილი.

შპს „სანო 2015“-ის დირექტორი არ არიდებს თავს ნაკისრი ვალდებულებით საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებულ ყველა მოქმედების შესრულებას, მაგრამ მას ამისთვის ესაჭირებოდა პროექტის კორეტირება(რითაც ჩვენ არანაირი მატერიალური ზიანი არ გვადგება), რაზედაც მან მიმართა მერიის სსიპ არქიტექტორის სამსახურს 2023 წლის 17 მარტს, რაც გაურკვეველი მიზეზების გამო დღემდე ვერ მოიპოვა. ირკვევა რომ მიზეზი არის:

სრულიად მოულოდნელად და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცისანა ქობულაძემ 2023 წლის აგვისტოში მიმართა განცხადებით ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურს პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, რაც 2023 წლის 23 აგვისტოს # 60-0123235974 წერილით არ დააკმაყოფილა, შემდეგ მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „სანო 2015“-ის მიერ 2021 წლის 23 დეკემბრის განშლა და ამ განშლის შედეგად გამყიდველებისათვის, მათ შორის თვითონ ცისანა ქობულაძისათვისაც ბინების

საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნა. ცისანა ქობულაძის მიერ საჯარო რეესტრისათვის მიმართულ მოთხოვნას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი რის გამოც, ცხადია მოთხოვნა არ დაკმაყოფდილდა.

2023 წლის 12 ოქტომბერს, მოსარჩელე ცისანა ქობულაძემ, ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა სასამართლოს, რაზეც დაუდგინდა ხარვეზი, რომლის გამოსწორების მიზნითაც დაზუსტებული სარჩელით მან 2023 წლის 1 ნოემბერს მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, 2021 წლის 23 დეკემბრის #892021096836-06 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ამავე სასარჩელო განცხადებით, მოსარჩელემ იშუამდგომლა და მოითხოვა, დავის დასრულებამდე დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 23 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების #892021096836-06 მოქმედების შეჩერება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე. აქტის შეჩერების თაობაზე მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა, აქტის მოქმედება შეჩერდა, ხოლო სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში.

შეჩერებული აქტის მოქმედებაც და სარჩელიც უშუალოდ აჩერებს, ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შპს „სანო 2015“-ის მოთხოვნილ კორექტირებას რაც აღნიშნულია შუალედურ პასუხში.

აღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ რომ კორექტირებაზე ხელის შეშლით ჩვენ გვადგება მატერიალური ზიანი, კერძოდ: აქტის მოქმედების შეჩერებით აღარ გვაქვს წვდომა ჩვენს საკუთრებაში გადმოცემულ ბინებზე საჯარო რეესტრის ამონაწერებზე წვდომა(**ასევე ხელს უშლის ბინების გაქირავებას, გასხვისებას და ა.შ**) და ასევე კორექტირების გარეშე შეიძლება უვადოთ შეფერხდეს საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების ვადა, რაც კიდევ უფრო მეტ მატერიალურ ზიანს მოგვაყენებს. ამ განცხადებაზე ხელმომწერნი გთხოვთ დააკმაყოფილოთ შპს „სანო 2015“-ის მოთხოვნა და (**AR1955397** განცხადებით) გასცეთ კორეკტირებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა.

ასევე ვთხოვთ სასამართლოს ყველა ისტანციას ბათილად გამოცხადდეს კერძო საჩივრით მოთხოვნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2023 წლის 3 ნოემბერს მიღებული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინება, საქმეზე #3/7745-23.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ზურაბ მეზვრიშვილი (პ/ნ 01017010224)----------

ამხანაგობა მეგა 4-ის წევრები:

ავთანდილ მეგრელიშვილი (პ/ნ 01009008428)

თამთა მეგრელიშვილი (პ/ნ 01009021065)

მაია ცინცაძე (პ/ნ 01009002129)

მარიტა მეგრელიშვილი (პ/ნ 01008048319)

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N231620083 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 22.11.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ეკატერინე მარშანია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 85957061067523 |

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაორ ნოემბერს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში, მომმართა: მარიტა მეგრელიშვილმა, მაია ცინცაძემ, ავთანდილ მეგრელიშვილმა, თამთა მეგრელიშვილმა, რომლებმაც წარმოადგინეს განცხადება და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მარიტა მეგრელიშვილმა (დაბ.18.12.1990წ. თბილისში, პ/ნ 01008048319, პ/მ 20IE82894, მისმართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71 კორ. ა ბ. 39), მაია ცინცაძემ (დაბ.13.05.1962წ. თბილისში, პ/ნ 01009002129, პ/მ 18IC77616, მისმართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71 კორ. ა ბ. 3), ავთანდილ მეგრელიშვილმა (დაბ.03.03.1963წ. ჩოხატაურში, პ/ნ 01009008428, პ/მ 15IE00496, მისმართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71 კორ. ა ბ. 39) და თამთა მეგრელიშვილმა (დაბ.28.04.1987წ. ჩოხატაურში, პ/ნ 01009021065, პ/მ 15IB45415, მისმართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 71 კორ. ა ბ. 39) მომმართეს. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე.
სამი ეგზემპლარისთვის გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 96.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 17.28 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

საწოტარო მოქმედებისა და საწოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურს და

საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს ყველა ინსტანციას

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის დასრულების და დროულად ექსპლუატაციაში მიღების მიზნით მოგიწოდებთ მხარეებს: შპს „სანო 2015“-ს და ქალბატონ ცისანა ქობულაძეს მასზედ რომ მორიგდეთ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით. მე ამ დავაში მონაწილეობას არ ვიღებ და მაქვს ნეიტრალური პოზიცია.

ზურაბ მეზვრიშვილი

(პ/ნ 01017010224)

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N231646139 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 29.11.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ეკატერინე მარშანია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 96081506478723 |

საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში, მომმართა: ზურაბ მეზვრიშვილმა, რომელმაც წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზურაბ მეზვრიშვილმა (დაბ. 30.05.1952 წელს გორში, პირადი N01017010224, პ/მ N15IA02028 გაცემული 09.12.2015 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, არსენას ქუჩა, N 27) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. ოთხი ეგზემპლარისთვის გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 24.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 4.32 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18